



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.9322217001

თარიღი:05/08/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1.

1. შეტანილ იქნას ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“, საპრივატიზებო ობიექტების გეგმას დაემატოს შემდეგი სახის ქონება:

ა) ჰერეთისკარის, 6309 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.19.60.281, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულებაა 12620 ლარი; ბე - 2000 ლარი; ბიჯი - 300 ლარი;

ბ) რაჭისუბნის 375 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.02.51.725, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულებაა 4500 ლარი; ბე - 1500 ლარი; ბიჯი - 150 ლარი;

გ) გურჯაანის ყოფილი მიწებიდან 50350 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.19.57.099, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს - 100700 ლარს; ბე - 11000 ლარს; ბიჯი - 2000 ლარს.

დ) ქ. ლაგოდეხში მდებარე, 443 კვ.მ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.01.55.412, რომლის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 31010 ლარს; ბე - 4500 ლარს; ბიჯი - 1000 ლარს.

ე) ფონის, 22037 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.11.52.506, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 44080 ლარს; ბე - 6000; ბიჯი - 1000 ლარს.

ვ) მაღალი გამავლობის ავტომანქანა - MITSUBISHI „PAJERO IO“ სახ. #CC-253-CG გამოშვების წელი 2007 წელი, , რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს - 11000 ლარს; ბე - 1200 ლარს; ბიჯი - 250 ლარს.

ზ) მაღალი გამავლობის ავტომანქანა - MITSUBISHI „PAJERO IO“ სახ. #CC-254-CG გამოშვების წელი 2007 წელი, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს - 10000 ლარს; ბე - 1100 ლარს; ბიჯი - 250 ლარს.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო გეგმა ჩამოყალიბდეს ახალი დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

